პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 2 თებერვალი, 1952 წ. № 28 (9188). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის შესანიშნავი ნაყოფი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ — სტატისტიკური სამმართველოს ცნობა (1-ლი და მე-2 გვერდი).
ი. შანიძე — შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესიული სისტემა საწარმოო აღმავლობის მძლავრი პიროვნაა (მე-2 გვერდი).
მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
„კეკო“ (მე-3 გვერდი).
კონტროლი სუსტია — ხელოვნებაა (მე-3 გვერდი).
ადგილობრივი ძალების ინიციატივა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის შესანიშნავი შედეგები

საბჭოთა ხალხი, რომელიც მჭიდროდ არის დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, წარმატებით ახორციელებს დიდი სტალინის მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანას — წლითიწლობით განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას.

საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით, კანონიერი სიამაყის გრძნობით გაეცნენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებულ ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. გასული წლის სამეურნეო შედეგები ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებენ წარმოების სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. მაშინ, როცა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა თვიდან-თვემდე დაქვეითების გზით მიდის და გამალებული შეიარაღების შედეგად მკვეთრად მცირდება სამოქალაქო მოხმარების საქონლის წარმოება, იზრდება მშრომელთა სიღატაკე და უმუშევრობა, ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ შარშან საგრძნობლად გადააჭარბა საგეგმო დავალებას და წინა წელთან შედარებით 16 პროცენტით გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება; სოფლის მეურნეობამ მთელ რიგ რაიონებში არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად 7.400 მილიონი ფუთი მარცვლეული მიიღო; საბჭოთა ხალხმა განახორციელა ფართო სამშენებლო პროგრამა; 1950 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაადიდა ნაციონალური შემოსავალი.

საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ ამ უდიდეს წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ამას ადასტურებს დღეს გამოქვეყნებული სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. რესპუბლიკის მშრომელებმა შარშან, ისევე როგორც წინა წლებში, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, სახალხო მეურნეობისადმი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდებით და საბჭოთა ტექნიკის უკეთ გამოყენებით ფრიად თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვეს.

რესპუბლიკის მრეწველობამ 108 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1951 წლის გეგმა და წინა წელთან შედარებით 13 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა. როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობამ საგრძნობლად გადააჭარბა საგეგმო დავალებებს. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ყველა სამრეწველო სამინისტრომ უზრუნველყო საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით განაღდება. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა. შარშან გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნა გამოშვებული მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ცემენტი, შიფერი, ლითონსაჭრელი და საფეიქრო დაზგები, შალის ქსოვილები და ფართო მოხმარების მთელი რიგი სხვა საქონელი.

ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვებასთან ერთად შარშან რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობამ თვალსაჩინოდ გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, შეამცირა თვითღირებულება, დაზოგა დიდძალი ნედლეული, მასალები, სათბობი და ელექტროენერგია. მრეწველობამ სახელმწიფოს მისცა მრავალი მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მთელ რიგ საწარმოებში გაბედულად ნერგავდნენ ნოვატორთა ახლებური მუშაობის მოწინავე მეთოდებს, აუმჯობესებდნენ შრომის ორგანიზაციას, ამაღლებდნენ წარმოების კულტურას.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმაც. შემჭიდროებულ ვადებში და გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა. საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა ნათესების მოვლა-დამუშავება. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო თესვის გეგმა, წინა წელთან შედარებით შარშან შემოდგომაზე კოლმეურნეებმა 17 პროცენტით მეტი საშემოდგომო ხორბალი დათესეს. წლითიწლობით მტკიცდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შარშან საგრძნობლად გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი. რესპუბლიკის მტს-ებმა დიდი რაოდენობით მიიღეს ახალი ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამის შედეგად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შარშან, წინა წელთან შედარებით 33 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს. დიდი სამუშაოებია განხორციელებული ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების აღსადგენად.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ჩვენში დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონელზე, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საცალო საქონლებრუნვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებით.

ყველა ეს წარმატება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. საბჭოთა ადამიანები თავიანთ ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ სასახელოდ განახორციელონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანები, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ შემდგომ განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ძლიერება, წარმატებით აშენონ კომუნიზმი.

ასეთ პირობებში შეუწყნარებელია ზოგიერთი საწარმოს მიერ გასული წლის საგეგმო დავალების შეუსრულებლობა, ანდა ჩამორჩენა გეგმების შესრულებაში ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მიხედვით, ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების დარგში.

ახალი სამეურნეო წლის პირველი თვეებიდანვე შარშან ჩამორჩენილმა საწარმოებმა და იმ საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც საგეგმო დავალებანი ვერ შეასრულეს ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით, ამთავითვე უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, სახელმწიფო გეგმა შეასრულონ არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლებით, არამედ ასორტიმენტისა და ხარისხის ზუსტად დაცვით.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია ამოცანა სავსებით მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და უზრუნველყონ წელს სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღება, მოიპოვონ შემდგომი წარმატებანი ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის საპატიო ამოცანის გადაწყვეტის საქმეში.

ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღებით, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გადამჭრელი ბრძოლით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ამით შემდგომ განამტკიცებენ საბჭოთა სამშობლოს ძალასა და ძლიერებას.

ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩვენ, სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, კომბინატის ოცი წლისთავის დღეს მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც თქვენი გენიალური შთანაფიქრის მიხედვით მთელმა საბჭოთა ხალხმა გმირული ღონისძიებებით შექმნა, 20 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმძლავრეს და ტექნიკურად აღჭურვილ მეტალურგიულ საწარმოდ გადაიქცა.

ჩვენი გიგანტი კომბინატის განვითარების ისტორია მკაფიოდ მოწმობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საბჭოთა მეტალურგიის განვითარების დიადი სტალინური იდეის წარმატებით განხორციელებას.

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მაგნიტოგორსკის კომბინატში შეიქმნენ და გამოიბრძძედნენ ისეთი კადრები, რომლებსაც შესწევთ უნარი გადაჭრან პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ყოველგვარი ამოცანა. პირველი სტალინური ხუთწლედების მანძილზე მაგნიტოგორსკელ მეტალურგთა კოლექტივი წარმატებით ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებებს ლითონით ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საქმეში.

დიდი სამამულო ომის წლებში სტალინური მაგნიტკა სოციალიზმის შეიარაღებული ძალების მძლავრი არსენალი გახდა. დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მაგნიტოგორსკელი მეტალურგები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პირველი სტალინური ხუთწლედის შესასრულებლად. ჩვენი კომბინატის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა დიდძალი ლითონი. 1951 წელს, შეასრულა რა თქვენს წინაშე, ამხანაგო სტალინ, ნაკისრი ვალდებულებანი, კომბინატმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 213.000 ტონა თუჯი, 73.000 ტონა ფოლადი, 36.000 ტონა ხაგლინი. ხედლეულის, მასალის, ენერგიისა და სხვა ხარჯების მომჭირნეობით მაგნიტოგორსკელებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 18 მილიონზე მეტი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია. მაგნიტკის მშენებლებმა გეგმის გადამეტებით აამენეს 11.200 კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი. მაგნიტოგორსკელები წესიერად ასრულებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს.

კომბინატში გაიზარდნენ სტახანოველების, წარმოების ნოვატორების შესანიშნავი კადრები, რომლებიც დაუფლნენ მოწინავე ტექნიკას და მიაღწიეს ბრძმედების, მარტენის ღუმელებისა და საგლინავი დაზგების გამოყენების მსოფლიოში საუკეთესო კოეფიციენტებს. მათ შორის არიან ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მეფოლადე, სტალინური პრემიის ლაურეატი მუჰამეტ ზინუროვი, მარტენის საამქროს უფროსი ოსტატი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ლუპინოვი, ბლუმინგის უფროსი ოპერატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. ტიშენკო, ბრძმედების ოსტატები ამხ. შატილინი, პერეევერზევი, ოვსიანიკოვი, ორლოვი, აგრეთვე ახალგაზრდა მეფოლადეები, სტალინური პრემიის ლაურეატები ვლადიმერ ზახაროვი, ივანე სემეონოვი და ბევრი სხვა. საუკეთესო სტახანოველების, წარმოების ნოვატორების მუშაობაში მკაფიოდ იჩენს თავს შრომისადმი ახალი, ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულება.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! მაგნიტოგორსკელები მუდამ გრძნობენ თქვენს მამობრივ ზრუნვას საბჭოთა ხალხისა და მისი მოწინავე რაზმის — მეტალურგების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. კომბინატთან ერთად მაგნიტნაიას მთის ძირას მოკლე ვადაში აშენდა ახალი სოციალისტური ქალაქი, რომელიც შეეფერება ჩვენს სტალინურ ეპოქას. განსაკუთრებით სწრაფად გაჩაღდა საბინაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობა ომისშემდგომ წლებში. მაგნიტოგორსკელები ამაყობენ ღამაზი მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი სახლებით მარჯვენა ნაპირის ქალაქში, მისი ქუჩებითა და პროსპექტებით.

თქვენი მუდმივი მზრუნველობით აღფრთოვანებულნი, ჩვენ კვლავაც გავზრდით კომბინატის შრომითს დიდებას. ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, მითითებანი, რომ საბჭოთა ადამიანებს არა სჩვევიათ ყოყოჩობა და თვითდამშვიდება. ჩვენი კომბინატის მუშაობას კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. ჯერ კიდევ არის ლითონის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების გამოუვლინებელი და გამოუყენებელი რეზერვები. პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების, წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ რეზერვების სრულ გამოყენებას და წარმოების დანაკარგის ლიკვიდაციას.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებით, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებით და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით, კადრების აღზრდით ჩვენ ვიბრძოლებთ კომბინატის ყველა რგოლის მუშაობის ყოველი ღონით გაუმჯობესებისათვის.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, პირობას გაძლევთ კვლავაც მტკიცედ განვაგრძოთ ბრძოლა იმისათვის, რომ ჩვენი კომბინატი, რომელიც თქვენს დიდებულ სახელს ატარებს, ყველაზე მოწინავე ქარხანა იყოს შავი მეტალურგიის საწარმოთა შორის.

განვიხილეთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები, გამოვიანგარიშეთ ჩვენი შესაძლებლობანი და შემდეგს სოციალისტურ ვალდებულებებს ვკისრულობთ:

1. ვადამდე შევასრულოთ 1952 წლის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ: 60 ათასი ტონა თუჯი, 55 ათასი ტონა ფოლადი, 25 ათასი ტონა ნაგლინი, 30 ათასი ტონა კოქსი, 150 ათასი ტონა მადანი.

2. გავაუმჯობესოთ ძირითადი აგრეგატების გამოყენება და მივაღწიოთ ბრძმედების მოცულობის გამოყენების კოეფიციენტის შემდგომ ამაღლებას, მარტენის ღუმელების ერთ კვადრატულ მეტრ ქვედზე ფოლადის აღების გადიდებას, გაჩაღებული მუშაობის საათში საგლინავი დაზგების წარმადობის გადიდებას.

3. 3 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულოთ შრომის ნაყოფიერების გეგმა.

4. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით და ნედლეულის, მასალის, ენერგიისა და ხარჯების ნორმების შემდგომი შემცირებით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივცეთ 10 მილიონი მანეთი ეკონომია.

5. ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვით მუშაობის ახალ რეჟიმზე გადავიყვანოთ კიდევ ერთი ბრძმედი. შვიდ მარტენის ღუმელში დავნერგოთ თერმოგამძლე კამარები, განვახორციელოთ მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებანი წარმოების რაციონალიზაციისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში.

6. საექსპლოატაციოდ გადავცეთ 40 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 250 ინდიკიდუალური სახლი.

7. ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების დანაკარგის ლიკვიდაციისა და რეზერვების სრული გამოყენებისათვის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, წარმოების კულტურის ამაღლებას და თვითეული აგრეგატის რიტმულ მუშაობას.

ვკისრულობთ რა სოციალისტურ ვალდებულებებს, მიმართავთ ჩვენი დიდი ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინერსა და ტექნიკოსს გააჩაღონ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ლითონის წარმოების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მეტალურგიული აგრეგატებისა და მექანიზმების სიმძლავრეთა სრული გამოყენებისათვის, ჩქარსნული დნობის დანერგვისათვის, ლითონის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, წარმოების შემდგომი დანაკარგის შემცირებისათვის, 1952 წელს ჩვენი მეტალურგიის ახალი აღმავლობისათვის.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები — მთელი მრავალთათასოვანი კოლექტივი — მზად არიან შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება. ამის თავდებია ჩვენი უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და თქვენდამი, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ამხანაგო სტალინ.

სულით და გულით მხურვალედ გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, მრავალ წელს ჯანმრთელ სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ ბურჯს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს — ჩვენს საყვარელ და მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

განხილული და მოწონებულია ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშების, ოსტატების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საამქრო კრებებსა და საერთო-საქარხნო მიტინგზე.

ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის ოცი წლისთავის ზეიმი

ი. ბ. სტალინის ბრძანებულებით ორდენებით დაჯილდოვდნენ

ი. ბ. სტალინის ბრძანებულებით ორდენებით დაჯილდოვდნენ ამ ბრძანებულებაში დასახელებული ამხანაგები.

ორდენებით: ლენინის ორდენით — 1 ამხანაგი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — 2 ამხანაგი, „პატიოსანი შრომისათვის“ — 3 ამხანაგი, „ღირსების ნიშნის“ ორდენით — 4 ამხანაგი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და საქონელბრუნვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1951 წელს ხასიათდება მემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1951 წლის გეგმა შესრულებულია 108 პროცენტით, მათ შორის საკავშირო მრეწველობის ხაზით წლიური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით — 109 პროცენტით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1951 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 13 პროცენტით, მათ შორის საკავშირო მრეწველობის ხაზით — 14 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით — 12 პროცენტით.

1951 წელს გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით არის გამოშვებული მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ცემენტი, შიფერი, ელექტროენერგია, ლითონსაჭრელი და საქსოვი დაზგები, ქაღალდი, მაგარი ტყავეული, შალის ქსოვილები, სათეთრეულე ტრიკოტაჟი, ერბო-კარაქი, მარგარინი, მაკარონის ნაწარმი, შაქარი, კონსერვები, ჩაი, ყურძნის ღვინო, პაპიროსი და სხვა სახეობის სამრეწველო პროდუქცია.

II

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1951 წლის გეგმის შესრულება შეადგენს:

	1951 წლის გეგმის შესრულება პროცენტობით
კვების მრეწველობის სამინისტრო	112
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	103
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	105
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	100,7
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	101
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	107
მათ შორის	
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	105
რაიონული დაქვემდებარების მრეწველობა	108
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	102
საქართველოს სარეწაო საბჭო	107
საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირი	107

თუმცა მრეწველობამ საერთო პროდუქციისა და ნატურით სამრეწველო პროდუქციის მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების გეგმა შეასრულა, მაგრამ კვების მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა მცენარეული საჭმელი ზეთის წარმოების გეგმა, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — ყველისა და გადაძდნარი ცხიმეულისა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — სააფთიაქო ჭურჭლისა, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — დახერხილი ხე-ტყის მასალისა, ნათალი და დაწებებული ფანერისა, აგრეთვე სამასალე მერქნის გამოზიდვისა, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — კრამიტის, თაბაშირის და ცეცხლგამძლე ნაწარმისა და, გარდა ამისა, მთლიანად შეასრულა რა აგურის გამოშვების გეგმა, სამინისტრო არ უშვებდა გეგმით გათვალისწინებულ ღრუ აგურს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — საწოლების, საშენი ლურსმნის, მოთუთიებული ჭურჭლის, ნავთქურებისა და მოწაფის რვეულებისა რესპუბლიკური მრეწველობის ხაზით და აგურის, კრამიტის, დახერხილი ხე-ტყის მასალის, ზედა ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლისა — რაიონული მრეწველობის ხაზით, საქართველოს სარეწაო საბჭომ — აგურის, კრამიტის, საშენი ლურსმნის, ბამბის ნართის, ბამბის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟისა და ფეხსაცმლისა. საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციულმა კავშირმა — ლურსმნის, საწოლების, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის წარმოების გეგმა.

III

1951 წელს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1951 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1951 წელი პროცენტი 1950 წელთან შედარებით
მარგანეცის საქონლო მადანი	116	119
ქვანახშირი	105	116
ნავთი	102	105
ფოლადი	87	310
ელექტროენერგია	104	118
ლენტური კონვეიერები	98	245
ბაგირის ვაგონეტები	100	175
ლითონსაჭრელი დაზგები	106	111
საქსოვი დაზგები	109	107
ცემენტი	111	107
შიფერი	113	121
აგური	98	123
კრამიტი	72	114
კირი	111	117
ასანთი	100,4	106
დაწებებული ფანერი	88	99

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა პოლონეთში

ვარშავა. (საკადსი). ამ უკანასკნელი ექვსნახევარი წლის მანძილზე პოლონეთში გამოიცა ვ. ი. ლენინის 50-ზე მეტი ნაწარმოები დაახლოებით 7,5 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 1-ლი, მე-2, მე-5, მე-14, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე ტომები და უახლოეს დროში გამოვა 25-ე ტომი.

გამომცემლობა „წიგნსა და ცოდნას“ განზრახული აქვს გამოსცეს წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა კიდევ 7 ტომი და ორტომეული: „ლენინი და სტალინი პარტიული მშენებლობის შესახებ“.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატთა საყურადღებოდ

1952 წლის 4 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) მოწვეულია

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-5 სესია.

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს კლუბის შენობაში საღამოს 7 საათიდან.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

	1951 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1951 წელი პროცენტებით 1950 წელთან შედარებით
დახერხილი ხე-ტყის მასალა	99,2	108
სამასალე მერქნის გამოზიდვა	97	109
შეშის გამოზიდვა	99,9	97
ქაღალდი	104	126
ბამბა	106	147
ბამბის ნართი	100,3	142
შალის ქსოვილები	116	117
აბრეშუმის ქსოვილები	102	124
ნედლი აბრეშუმი (გრეჟა)	102	111
წინდის ნაწარმი	97	125
სათეთრეულე ტრიკოტაჟი	111	120
ზედა ტრიკოტაჟი	91	140
ფეხსაცმელი	98	112
მაგარი ტყავეული	105	117
რბილი ტყავეული	102	110
საწოლები	85	113
საშენი ლურსმანი	75	113
პიანინოები და როიალები	100,8	105
თევზჭერა	69	83
ერობო-ყარაქი	123	83
მცენარეული საპმელი ზეთი	94	100,7
მარგარინის ნაწარმი	110	115
ყველი	83	113
ხორცი	102	114
ძეხვეული	100,9	119
კონსერვები	115	121
ფხვნილი შაქარი	104	115
ჩაი (პირველადი დამუშავება)	107	109
საკონდიტრო ნაწარმი	105	112
პურ-ფუნთუშის ნაწარმი	103	103
სპირტი	126	126
კონიაკი	137	142
ყურძნის ღვინო	114	99
ლუდი	110	116
მინერალური წყლები	109	116
პაპიროსი	106	123
საპონი	103	106

IV

მეტმა წილმა დიდმა სამრეწველო საწარმოებმა (ტრესტებმა) შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ნატურით სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა გამოშვების გეგმა.

ამასთან ერთად, ზოგიერთმა საწარმომ (ტრესტმა), თუმცა შეასრულა საერთო პროდუქციის გეგმა, მაგრამ ვერ უზრუნველყო ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმის შესრულება, ხოლო ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა:

საკავშირო მრეწველობა

1. საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი სახეობის პროდუქციისა თუ ასორტიმენტის გეგმა ვერ შეასრულეს:

კვაისის მაღაროსამმართველომ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, მანქანათმშენებელმა ქარხანა „მაღაროელმა“, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ, ბერიას სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“.

2. საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს:

	1951 წლის საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტი
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა	98
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ	98
საქართველოს ნავთდამამძიებელ მასალათა ტრესტმა	97
ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ	95
ხრამჰესმა	90
საქართველოს თევზის ტრესტმა	74
ქარხანა „დაზგამ“	71
ლოკომოტივშემკეთებელმა ქარხანამ	66
სუხუმჰესმა	58
ახალციხის შახტსამმართველომ	52

რესპუბლიკური მრეწველობა

1. საერთო პროდუქციის გეგმა შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმა ვერ შეასრულეს:

საქართველოს „მთავარკონდიტერმა“;

საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტმა, საქართველოს ყველ-კარაქმრეწვის ტრესტმა, თბილისის ხორცკომბინატმა;

№ 2 ტყავის ქარხანამ, ბათუმის ტყავის ქარხანამ, სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა, №№ 1, 2 ფეხსაცმლის ფაბრიკებმა, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ, №№ 5, 7 სამკერვალო ფაბრიკებმა;

საქართველოს ხე-ტყის ტრესტისა და საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტებმა, ახმეტის ხე-ტყის სახერხმა ქარხანამ, სტალინირის ხე-ტყის კომბინატმა, მცხეთის ასანთის ფაბრიკამ, ბათუმისა და თბილისის ფანერის ქარხნებმა, გინდა-ეწერის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ;

შროშის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანამ;

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ, ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ, მომთუთიებელმა ქარხანამ, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა ფაბრიკამ.

2. საერთო პროდუქციისა და ნატურით პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს:

	1951 წლის საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტი
საქართველოს ტუნგოს ტრესტმა	99,4
№ 2 სამკერვალო ფაბრიკამ	96
ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ	93
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანამ	88
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საგალანტერიო ფაბრიკამ	86
ზუგდიდის აგურ-კრამიტის ქარხანამ	80
მარელისის ავეჯის ქარხანამ	77
მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხანამ	55

სოფლის მეურნეობა

1951 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვა უფრო მოკლე ვადებში დაამთავრეს და გადაჭარბებით შეასრულეს თესვის სახელმწიფო გეგმა. უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა ანეულის მოხვნა და ნათესების მოვლა. ანეულის ხვნის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. მიუხედავად 1951 წლის შემოდგომის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმაც; საშემოდგომო ხორბალი 17 პროცენტით მეტი დაითესა, ვიდრე 1950 წელს. ამავე დროს საგაზაფხულო თესვისათვის მზრალად ხვნის გეგმა მნიშვნელოვანი დანაკლისით შესრულდა.

1951 წელს უფრო მეტად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი; რესპუბლიკის მტს-ებმა მიიღეს ბევრი ტრაქტორი, კომბაინი და მისაბმელი იარაღი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1951 წელს 33 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1950 წელს. 1951 წლის მეოთხე კვარტალში ტრაქტორები შეკეთებულია 23 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წლის იმავე კვარტალში, მაგრამ რემონტის გეგმა ვერ შესრულდა.

კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის უხეში საკვების დამზადების გეგმა.

1951 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 43 პროცენტით მეტი ჩაის პლანტაცია გააშენეს, ვიდრე 1950 წელს, გაცილებით მეტი ნიადაგი მომზადდა ციტრუსების პლანტაციების გასაშენებლად. მაგრამ პლანტაციების გაშენებისა და ნიადაგის მომზადების 1951 წლის საგეგმო დავალებანი ვერ შესრულდა.

1951 წელს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მუშაობას ეწეოდნენ 1949-50 წლის ზამთრის ყინვებისაგან დაზარალებული ციტრუსოვანთა ნარგავების აღსადგენად. პლანტაციების გაშენების გეგმა ორმაგად და მეტად შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა 1952 წელს ციტრუსოვანთა პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა და სუბტროპიკული ხეხილისა და ბამბუკის გაშენებისა და ევკალიპტის დარგვის გეგმები; შესრულებულია ზეთისხილის პლანტაციების გაშენების გეგმა; ვერ შესრულდა ახალი ვენახების გაშენების გეგმა.

საქონელბრუნვა

საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1951 წელს ითლიანად შესრულებულია 101 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ქსელისა—106 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა შეასრულეს 102 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციამ—100 პროცენტით.

1951 წლის 1 მარტიდან განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა, საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეოთხე შემცირებამ გამოიწვია საქონელბრუნვის შემდგომი განვითარება.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება

სწახანოვან მეშახტეთა ... ...

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). შედგა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სტახანოველი მეშახტეებისა და ქვანახშირის ოსტატთა შეკრება. 1951 წლის შედეგებისა და 1952 წლის ამოცანების შესახებ შეკრებაზე მოხსენება გააკეთა ტრესტის მმართველმა ამხ. ა. ლაბახუამ.

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა 1951 წლის გეგმა გადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს. 1950 წელთან შედარებით გასულ წელს ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 26 პროცენტით. წლიური გეგმა ყველა შახტმა შეასრულა. ამ წარმატებათა საფუძველი იყო ლავების გადაყვანა ციკლური გრაფიკით მუშაობაზე — ერთი ციკლი დღეღამეში — და ქვანახშირის ამოღების ფართო მექანიზაცია.

ამასთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შახტებში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული ყველა რეზერვი. უბნების თითქმის ნახევარმა ვერ შეასრულა 1951 წლის გეგმა. ადგილი აქვს ახალი ტექნიკისა და მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებებისადმი დაუდევარი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს. უკანასკნელ ხანს მუშაობა გააუარესა ახიბლარის შახტის კოლექტივმა, რომელმაც დეკემბერში დაკარგა წინა თვეებში მაღალნაყოფიერი მუშაობით მოპოვებული კოლექტიური სტახანოვური შრომის შახტის წოდება.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები, უბნის უფროსები და შახტების ხელმძღვანელი მუშაკები.

ბერიას სახელობის შახტის სტახანოველმა ა. პაპასკუამ შეკრების მონაწილეებს მოუთხრო მუშაობის თავის გამოცდილებაზე და იკისრა 1952 წლის დავალება შეასრულოს 300 პროცენტით.

მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენებისა და სამუშაო ადგილის სანიმუშოდ მოწყობის შესახებ ილაპარაკა მეხუთე შახტის სტახანოველმა, საყელავი მანქანის მემანქანემ ს. ვოლკოვმა, რომელმაც იკისრა 1952 წლის გეგმის 230 პროცენტით შესრულება.

სტალინის სახელობის შახტის მეექვსე უბნის უფროსმა ნ. გუგუშვილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა საწარმოო-საშუალებებისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებს. 1951 წელს უბანმა, რომელსაც გუგუშვილი ხელმძღვანელობს, 124.000 მანეთი დაზოგა. უბნის კოლექტივმა გადაწყვიტა ახალ წელს უფრო უკეთესად იმუშაოს.

ბრიგადაში შრომის სწორი ორგანიზაციისა და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე შრომატევადობის შემცირების შესახებ ილაპარაკა სტალინის სახელობის შახტის ქვანახშირის ოსტატმა ნ. ხაჩიპერაძემ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ჭანტურია.

შეკრების მონაწილეების მიერ მიღებულ რეზოლუციაში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ყველა შახტისა და უბნის მიერ ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმის წარმატებით შესრულება.

ტყვარჩელელები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მეშახტეებთან და იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმა შეასრულონ 104 პროცენტით, ძირითადი სამთო გამონამუშევრების გაყვანისა კი შეასრულონ 110 პროცენტით;

ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით დაზოგონ სულ მცირე 1 მილიონი მანეთი;

მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა.

შეჯიბრების ინიციატორებთან

ტყიბული. (საკ. კორ.). იანვარში ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სამმა მოწინავე შახტმა — ლენინის სახელობის, სტალინის სახელობისა და გელათის შახტებმა — გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა ქვანახშირი ამოიღეს.

ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური ვსების ათვისებითა და შრომის ორგანიზაციის მაღალ ფორმაზე — ციკლურ გრაფიკზე — გადასვლით სტალინის სახელობის შახტში სადღეღამისო დავალებებს 115-120 პროცენტით ანაღდებს უბანი, რომელსაც სამთო ინჟინერი მ. ვერულაშვილი ხელმძღვანელობს.

ლენინის სახელობის შახტში სწრაფი ტემპით ამზადებენ ახალ საექსპლოატაციო ველებს, გაჰყავთ ძირითადი სახის სამთო გამონამუშევრები, ხსნიან ახალ ლავებს. მთხრელთა იმ ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც კომკავშირელი ნ. მუშკუდიანი ხელმძღვანელობს, ჩქაროსნული მეთოდით გაჰყავს ახალი შტრეკი და ამზადებს ორ მძლავრ ლავს. ამ ბრიგადის სტახანოველი მთხრელები გ. ხეცურიანი, რ. ჯაფარიძე, ნ. რიეამაძე და სხვები გათხრის დღიურ ნორმებს 120-125 პროცენტით ანაღდებენ.

ტყვარჩელელებთან ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტყიბულელი მეშახტეები ახალ წარმატებებს აღწევენ და განუხრელად ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას.

ეკონომიურ თემაზე

შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესიული სისტემა სანარმოო აღმავლობის მძლავრი პირობაა

შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემების მართებული შერჩევა და საერთოდ ხელფასის სწორ ორგანიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მრეწველობის აღმავლობისათვის, მუშათა კლასის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

შრომის ანაზღაურების სანარდო და სანარდო-პროგრესიული სისტემის დაწესება და მართებული სატარიფო განაკვეთების შემუშავება მრეწველობის ამა თუ იმ დარგში ყოველთვის იყო და არის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების საგანი.

სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ანაზღაურების სხვადასხვა სისტემას შორის ყველაზე მეტი წილი სანარდო და სანარდო-პროგრესიულ სისტემაზე მოდის, რომელსაც საფუძვლად უდევს პროგრესიული ტექნიკური ნორმები. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „მრეწველობის თვითეულ დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საამქროში არიან წამყვანი ჯგუფები ცოტად თუ ბევრად კვალიფიციური მუშებისა, რომლებიც უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად უნდა შევინარჩუნოთ წარმოებაში, თუ მართლა გვინდა უზრუნველვყოთ მუშების მუდმივი შემადგენლობა საწარმოში“. სწორედ ამიტომ მრეწველობის ზოგიერთი დარგის წამყვანი პროფესიის მუშებისათვის შემოღებულია მატერიალური დაინტერესების უფრო მეტი სტიმულის მიმცემი სანარდო-პროგრესიული სისტემა შრომის ანაზღაურებაში.

სანარდო-პროგრესიულ ანაზღაურებაზე მყოფ მუშებს გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ხელფასი ეძლევათ პროგრესიულად ძმარდი შეფასებით. ანაზღაურების ასეთი სისტემის დროს კიდევ უფრო მეტად იზრდება გამომუშავების მართებული ნორმების, მათი სრულყოფილების მნიშვნელობა. პროგრესიული ტექნიკური ნორმები უნდა ასახავდნენ ტექნოლოგიურ პროცესში შეტანილ ყველა სიახლეს და იმ ნოვატორულ წინადადებებს, რომლებიც გახუწყვეტლივ იჩენენ თავს ჩვენს მრეწველობაში მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის შედეგად. მაგალითად, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სტახანოველმა ალექსანდრე კახიანმა 1951 წელს შემოიტანა და განახორციელა 7 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა უმრავლესობა საქსოვი დაზგის წარმადობის ზრდისაკენ, ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მოცდენების შემცირებისა და დაზგების მომსახურების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

1951 წლის განმავლობაში ფაბრიკის რაციონალიზატორებმა შემოიტანეს და განახორციელეს 45 წინადადება, რითაც მიღებულ იქნა 290 ათასი მანეთი ეკონომია.

შრომის ანაზღაურების სანარდო და სანარდო-პროგრესიული სისტემის განმსაზღვრელია: სატარიფო განაკვეთი, გამომუშავების ნორმა და გამომუშავების ნორმის შესრულების რეალური პირობები. დანორმვის ორგანიზაციის პრაქტიკაში ცნობილია ეგრეთწოდებული მძიმე ან მეტად დაჭიმული ნორმები და მსუბუქი ან ნაკლებად დაჭიმული ნორმები. არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ასორტიმენტზე მომუშავე მუშები მაღალშრომატევადი ასორტიმენტიდან მიილტვიან უფრო ნაკლებ შრომატევადი ასორტიმენტისაკენ. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გამომუშავების ნორმის ოდენობის არასწორად დაწესების გამო და შეუძლია გამოიწვიოს წარმოების შიგნით მუშათა დენადობა: ერთი ასორტიმენტიდან მეორეზე გადასვლა, ერთი საამქროდან მეორეში გადაყვანის ცდა და სხვა, რაც იწვევს შრომის ნაყოფიერების დაცემას, გათვალისწინებული ასორტიმენტების გეგმის შეუსრულებლობას და საამქროებს შორის შეუფარდებლობას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გამომუშავების მართებული ნორმების დაწესებას.

ჩვენს ფაბრიკაში ამჟამად დადგენილია გამომუშავების სამასზე მეტი ტექნიკურად დასაბუთებული ნორმა. ამათგან ნორმების 62 პროცენტი დაწესებულია ძირითად წამყვან ტექნოლოგიურ პროცესებზე, ხოლო დანარჩენი—დამხმარე სამუშაოებზე. 1952 წლის დასაწყისიდან ფაბრიკაში გაიშალა მეტად დიდი და პასუხსაგები მუშაობა გამომუშავების ნორმების გადასინჯვასთან დაკავშირებით. სულ გადაისინჯება და განახლდება გამომუშავების 265 ნორმა. გამომუშავების ნორმების გადასინჯვას საფუძვლად უდევს: მუშების კვალიფიკაციის ამაღლება და მისი შედეგების გავლენა ნორმებზე, საწარმოო ოპერაციების შესრულებაში სტახანოველთა მიღწევების განზოგადოება და მათი დანერგვა, სამუშაო პირობების შეცვლა ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებასთან, აგრეთვე ახალი ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით მოპოვებული წარმატებანი.

ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილის „ზოლიანი ტილოს“ გამომუშავების ნორმის დადგენის მაგალითი. ამ ქსოვილზე 1951 წელს დაწესებული იყო გამომუშავების ნორმა — 8 საათში 12 მეტრი. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ნორმა გადაისინჯა და დაწესდა 14.48 მეტრი, ზრდა შეადგენს 20 პროცენტს. ეს ზრდა სათანადოდ დასაბუთებულია დაკვირვების მასალებით და ძირითადად მიღწეულია მოსამზადებელი საამქროს მუშაობის გაუმჯობესებისა და ახალი, მოწინავე ტექნიკის დანერგვის გზით.

ასევე გადაისინჯა ახალ სამღებრო-გამომყვან საამქროში დაჩითვის გამომუშავების ნორმები. წინათ საჩითავი მაგიდების სიგრძე 25 მეტრს არ აღემატებოდა, ამჟამად კი მაგიდების სიგრძე 44 მეტრს უდრის, რამაც საშუალება მოგვცა ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების გზით დაგვეწესებინა გამომუშავების ახალი ნორმა, რომელიც 25 პროცენტით მეტია ძველ ნორმასთან შედარებით.

გამომუშავების ნორმების შესრულებისათვის რეალური პირობების შექმნის თვალსაჩინო ფაქტორს წარმოადგენს სამუშაო ადგილის მომზადება, რაც დამოკიდებულია ერთი მხრივ სამუშაო ადგილის ნედლეულით და მასალებით მომარაგებასა და განლაგებაზე, მეორე მხრივ, საწარმოო პროცესის სწორ ორგანიზაციაზე. საწარმოო პროცესის სწორი ორგანიზაციისა და სამუშაო ადგილის სანიმუშოდ მოწყობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ჩვენი ფაბრიკის ცნობილი სტახანოველები თამარ კოპალეიშვილი, ეკატერინე მეხრაძე, მაყვალა მოდებაძე, ეკატერინე ურთაშვილი, ევდოკია ნიკულინა, მარიამ ჩეჩელაშვილი, ნინო ჩიტიძე და სხვები. ისინი სტახანოვურ სკოლებში წარმატებით ასწავლიან თანამოაზეთა ფაბრიკის მუშებს.

ინჟინერ თ. კოკალიოვის პატრიოტულმა თაოსნობამ დიდი სამსახური გაუწია ფაბრიკის კოლექტივს თვითეული პროფესიისათვის საწარმოო ოპერაციის თანმიმდევრობით განლაგებაში, მათი შესრულებისათვის საჭირო მინიმალური დროის დაწესებაში და საერთოდ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდაში. ამ თაოსნობას მომავალშიც დიდი პრაქტიკული სამსახური შეუძლია გაუწიოს მრეწველობის მუშაკებს, თუ მას არ მიეცემა კამპანიური ხასიათი, თუ პერიოდულად შემოწმდება და გადაისინჯება საწარმოო ოპერაციები, მათი წყობა და ხანგრძლივობა, საერთოდ შრომის ორგანიზაციის პირობები. ეს ხელს შეუწყობს ტექნიკური დანორმვის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომის სანარდო და სანარდო-პროგრესიული ანაზღაურების სისტემის ბოლომდე გატარებას.

შრომის სანარდო და სანარდო-პროგრესიული ანაზღაურების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რაოდენობასთან ერთად პროდუქციის ხარისხს და შრომის მაქსიმალურ შემჭიდროებას. აბრეშუმის მრეწველობაში საქსოვი საწარმოებისათვის ამჟამად მოქმედებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის 1949 წლის 12 აპრილის № 516 ბრძანება, რომლის საფუძველზე გეგმის შესრულების პროცენტს ზრდის შესაბამისად დაწესებულია ხელფასის პროგრესიული დანამატი მხოლოდ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევაში. ამ ბრძანებით დადგენილია, რომ გამომუშავების ნორმის 100-დან 110 პროცენტამდე შესრულების შემთხვევაში, როცა გამოშვებულია მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია, მუშას ძირითად ხელფასზე ერიცხება პროგრესიული დანამატი თვიური ხელფასის 20-დან 50 პროცენტამდე. შრომის ასეთი ანაზღაურებით სავსებით შეფარდებულია ერთმანეთთან პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი.

ფაბრიკაში გამართულ საწარმოო თათბირებზე და ბალანსის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელფასის საგეგმო და ეკონომიური მონაცემების დაპირისპირებას სანელებისა და მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანარდო და სანარდო-პროგრესიული ხელფასის ხვედრითი წილის ზრდას საერთო ხელფასში. ხშირად სანარდო და სანარდო-პროგრესიული ხელფასის ოდენობა გათვეფილია საერთო ხელფასში და არ ჩანს მისი რაოდენობის გავლენა პროდუქციის თვითღირებულებაზე, რადგან მოძველებული ნორმების მიზეზით როგორც სანარდო ხელფასის, ისე პრემიების რაოდენობის დიდად გადაჭარბებას შეუძლია გამოიწვიოს ხელფასის შედარებითი გადახარჯვა, ეს კი გამოიწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. ასეთი ანალიზის სისტემატურად წარმოებას დიდი სარგებლობა მოაქვს მრეწველობის მუშაკებისათვის. ანალიზის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ შემდეგი მითითებებით — სანარდო და სანარდო პროგრესიული ხელფასის ოდენობა სისტემატურად უნდა იზრდებოდეს საერთო ხელფასში და ეს ზრდა უნდა უზრუნველყოფდეს შრომის ნაყოფიერების ისეთ გადიდებას, რომ ხელფასის ფონდი არ გადაიხარჯოს და პროდუქციის თვითღირებულება არ გადიდდეს.

1951 წლის შედეგების მიხედვით, წინა წლებთან შედარებით, ფაბრიკაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სანარდო ხელფასის ოდენობა, განსაკუთრებით კი პროგრესიულ-პრემიალური ხელფასის წილი, რაც მიღწეულია ხელფასის დანარჩენი სახეების შემცირებით. სანარდო ხელფასის ოდენობის წილი ჩვენი ფაბრიკის საერთო ხელფასში 1949 წელს შეადგენდა 54.1 პროცენტს, 1950 წელს 54,5 პროცენტს, ხოლო 1951 წელს 55,1 პროცენტს. ასევე სანარდო პროგრესიული ხელფასის ოდენობის წილი 1949 წელს 12,7 პროცენტი იყო, 1950 წელს—13,2 პროცენტი, 1951 წელს კი 15,1 პროცენტს მიაღწია.

სანარდო და სანარდო-პროგრესიული ხელფასის ხვედრითი წილის ზრდა უზრუნველყოფილია ხელფასის დანარჩენი სახეების შემცირებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენი ფაბრიკის ცნობილმა მქსოველმა ოთხდაზგოსანმა ეკატერინე ურთაშვილმა დეკემბრის შედეგების მიხედვით ნორმით გათვალისწინებული 1.077 მეტრი კრეპდეშინის ნაცვლად 1.272 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მოქსოვა და ძირითადი სანარდო გამომუშავებით ნიიღო 1.011 მანეთი და 44 კაპიკი, პროგრესიულ-პრემიალური შკალის მიხედვით კი დაერიცხა პროგრესიული დანამატი 505 მანეთი და 72 კაპიკი; სულ მიიღო 1.667 მანეთი და 14 კაპიკი ხელფასი.

მიმდინარე წლის 7 იანვარს ფაბრიკაში მოეწყო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც მოისმინა მოხსენება კუპაევინის წმინდა ძაუდის ფაბრიკის სტახანოველი ფიეტრების, სტალინური პრემიის ლაურეატების მარიამ როყნეევას და ლიდია კონონენკოს პატრიოტული თაოსნობის შესახებ. ეს თაოსნობა ითვალისწინებს 1952 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ახალი რეზერვების გამოვლენებას. ამ ახალ რეზერვებში დიდი მნიშვნელობა აქვს გამომუშავების ნორმების გადასინჯვას, მართებული ნორმების დაწესებას და სანარდო და სანარდო-პროგრესიული ხელფასის წილის ზრდას, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას.

1952 წლის გაზრდილ საწარმოო დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი კიდევ უფრო ფართოდ დანერგავს შრომის ანაზღაურების სანარდო და სანარდო-პროგრესიულ სისტემას, რაც შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს.

ი. შანიძე

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსი

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

სკოლა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია

სერიოზული ამოცანები აკისრიათ სასკოლო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. მათი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა განუხრელად იბრძოლონ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, კომუნისტ პედაგოგთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მასწავლებელთა დახელოვნებისათვის.

ამ საკითხისადმი არის მიძღვნილი ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდში“ დაბეჭდილი წერილი: „სასკოლო პირველადი პარტიული ორგანიზაცია“. წერილში გაშუქებულია ნოსირის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. როგორც გაზეთი წერს, ნოსირის საშუალო სკოლამ

„მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედი დაბალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრა. მეოთხედის ბოლოს სკოლაში სწავლაში ჩამორჩენილი აღმოჩნდა 107 მოსწავლე. პარტიულ კრებაზე მოსმენილ იქნა სკოლის დირექტორის მოხსენება სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ. კრებაზე აშკარა გახდა, რომ მოსწავლეთა აკადემიური წარმატებლობა კომუნისტ მასწავლებელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობითაც იყო გამოწვეული, არასაკმაო იყო ბავშვთა სწავლა-აღზრდის დაყენების საქმეში პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობაც“.

პარტორგანიზაციის კრებამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი და უზრუნველყო მათი განხორციელება. ამის შედეგად შესამჩნევად ამაღლდა გაკვეთილების ხარისხი, გაძლიერდა საწრეო მუშაობა, გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. პარტიულმა ორგანიზაციამ ამასთან ერთად ყურადღება მიაქცია საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, რუსული და შუბლიური ენების სწავლების დონის ამაღლების საკითხებსაც.

„პარტიულ კრებაზე,—წერს „ავანგარდი“, — მოსმენილ იქნა ბიოლოგიის მასწავლებლის თ. ალანიას მოხსენება სკოლაში ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ სუსტად მუშაობდა ბიოლოგიის მეთოდური კომისია, საბუნებისმეტყველო დისციპლინათა სწავლების პროცესში იშვიათად ხდებოდა თვალსაჩინო საშუალებათა გამოყენება, მოუვლელი და გამოუყენებელი იყო სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. ყოველივე ეს დაბალ სწევდა მოსწავლეთა ცოდნას საბუნებისმეტყველო დისციპლინებში. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების განხორციელებამ კარგი შედეგი გამოიღო. საგრძნობლად ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე. თუ სასწავლო წლის პირველ მეოთხედში საბუნებისმეტყველო საგნებში 202 მოსწავლიდან აკადემიურად ჩამორჩებოდა 23, მეორე მეოთხედში მათი რიცხვი 12-მდე შემცირდა. გაუჯერდა ხუთოსანთა და ოთხოსანთა რიცხვი“.

ნოსირის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, როგორც გაზეთი წერს, ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური შრომის გმირის თვალსაჩინო წარმატება

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში 17 წელია, რაც მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი მოსე ქადაგიძე.

წითელწყაროს რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი“ აშუქებს ამ სახელმოხვეჭილი ნოვატორის გამოცდილებას და რაიონის კოლმეურნეთა ყურადღებას ამახვილებს მისი მუშაობის გამოცდილების დიდ მნიშვნელობაზე.

ფერმაში წინა წლებში თვითეულ დედაღორზე წლის მანძილზე იღებდნენ 10-12 გოჭს. მოსე ქადაგიძემ კი თვითეულ დედაღორზე წელიწადში მიიღო და გამოზარდა 25 გოჭი.

როგორ აღწევს ქადაგიძე ამ წარმატებას? რაშია მისი გამოცდილების „საიდუმლოება?“

ამის შესახებ „ახალი შირაქი“ წერს:

„იმისათვის, რომ ჯანსაღი ნამატი მიიღოს და დედაღორიც ჯანმრთელად იყოლიოს, ქადაგიძე გასაკეთ დედაღორს ათავსებს ცალკე კამერაში, აბანავებს ვერ თბილ წყალში, შემდეგ კრეოლინის 3-პროცენტიან ხსნარში, რომ მას მკბენარი არ გაუჩნდეს. ამის შემდეგ ასეთივე წესით გასუფთავებულ მწარმოებელს მიუშვებს მასთან.

დედაღორს დაგოკიანებამდე 10 დღით ადრე სამ დღეში ერთხელ აბანავებს, ხოლო დაგოკიანებამდე 2 დღით ადრე აძლევს ჭვინიან საკვებს დღეში 9 კილოგრამის რაოდენობით და დღეში ერთი საათით გაუვავს სასეირნოდ. კამერაში, სადაც დედაღორი უნდა დაგოკიანდეს, ატარებს დეზინფიკაციას და გასუფთავებულ იატაკზე უფენს სუფთა ნამჯას.

ახლად დაბადებულ გოჭს წმენდს სუფთა ტილოთი და დეზინფიკაციანმნილი შაკრატლით აკრის ჭიას, რაზეც უსვამს იოდს. მოწოვების წინ დედაღორს ძუძუებს უსუფთავებს სუფთა ტილოთი. გოჭები ათ დღემდე სწოვენ მარტო დედის რძეს, ხოლო შემდეგ აძლევს ძროხის მოხდილ რძეში დამზადებულ სიმინდის ფქვილის ფაფას, რომელშიც ურევს ძვლის ფქვილს... გოჭების 10 დღის ასაკამდე დედას აძლევს წვნიან საკვებს დღეში 8-9 კილოგრამის რაოდენობით, ხოლო 15 დღის ასაკამდე დედაღორის ულუფა დიდდება 15 კილოგრამამდე. გოჭებს 15 დღის ასაკიდან დედასთან ერთად აძლევენს დღეში ერთი საათით, ამ დროს ახინა ეჩვევიან მწვანე ბალახის ძოვას“..

ასეთი წესით მოვლის შედეგად, მ. ქადაგიძემ 1950 წელს თვითეულ დედაღორზე მიიღო და გაზარდა 25 გოჭი. შარშან მან თვითეულ დედაღორზე გოჭების მიღების სამწლიან გეგმას გადააჭარბა 2 გოჭით, ხოლო გოჭების საერთო სულადობას — 51 გოჭით.

გაზეთი მოუწოდებს მეღორეობის ფერმების მუშაკებს დანერგონ თავიანთ მუშაობაში მ. ქადაგიძის გამოცდილება.

უხვი პროდუქტები შრომადღეებზე

შარშან ყვარლის რაიონის გავაზის ვორონოლოვის სახელობის კოლმეურნეობამ მიაღწია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებას. როგორც რაიონული გაზეთი „ლენინური გზით“ წერს, ამ კოლმეურნეობაში წინა წელთან შედარებით 1951 წელს თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 5 ცენტნერით მეტი ხორბალი და 13 ცენტნერით მეტი სიმინდი. ამჟამად კოლმეურნეობაში წარმოებს მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება. თვითეულ შრომადღეზე ნაწილდება 5,3 კილოგრამი მარცვლეული და 3 მანეთი ფულად.

„პირთან რაჯაბაშვილის ოჯახმა,—წერს გაზეთი, — შარშან გამოიმუშავა 1.374 შრომადღე. ამ შრომადღეებზე ეს ოჯახი იღებს 7.282 კილოგრამ მარცვლეულს და 4.122 მანეთს ფულად. უხვი პროდუქტები ხვდება მ. ბუთიაშვილის ოჯახს, რომელიც მიიღებს 7.213 კილოგრამ მარცვლეულს და 4.083 მანეთს ფულად. შრომადღეებზე უხვ პროდუქტებს იღებენ აგრეთვე ს. ბულაშვილიშვილის, გ. ღონიაშვილისა და სხვა კოლმეურნეთა ოჯახები“.

ჩვენ გვწერენ

შევქმნათ საყრდენების მკვიდრი მეურნეობა

ელექტროფიკაციის, რადიოფიკაციისა და ტელეფონიზაციის განვითარებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საყრდენების მკვიდრი მეურნეობის შექმნა, რომელზეც აღკაზმულია ელექტრონის, რადიოს და ტელეფონის სადენები.

მთელ რიგ რაიონებში საყრდენებად იყენებენ ადგილობრივი ჯიშის ფიჭვისა და ნაძვის ბოძებს, ისიც ქაოსური შეკაზმულობით გაუჭღენთავს. ასეთი საყრდენები მიწაში ძლებს მხოლოდ 3-4 წელს. ამის გამო დიდი შეფერხებები ხდება ელექტროდენის, რადიოს და ტელეფონის გამოყენების საქმეში. საყრდენების უდროოდ ლპობა იწვევს მათს მალე გამოსვლას ნაწყობრიდან, მაშინ როცა ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ რაიონს შეუძლია სწრაფლპობადი საყრდენების ნაცვლად გამოიყენოს აკაციის ბოძები, რომლებიც ნიადაგში ათეულ წლობით ძლებს.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ხელმძღვანელი ყოველწლიურად ეწყობა აკაციის ჯიშის ხის მასობრივად დარგვა. განსაკუთრებით სოფლად ყოველი მოქალაქის მოვალეობაა გაზარდოს თავის ეზოში ან საკარმიდამო ნაკვეთში რამდენიმე აკაციის ხე ელექტრონის, რადიოს და ტელეფონის საჭიროებისათვის.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა და სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელებმა აკაცია უნდა გაშენონ ტყის გასაშენებელ ადგილებში, განსაკუთრებით მეწყერიან ადგილებსა და ქარსაცავ ზოლებში.

გარდა სხვა მრავალი სასარგებლო თვისებისა, აკაცია მეტად მალემზარდი მცენარეა, აქვს სწორი მერქნის ტანი და, რაც მთავარია მიწაში ძლებს 15-20 წელზე მეტს. აქედან გასაგებია, თუ რამდენ ეკონომიას მოგვცემს იგი ახალ სახაზო მშენებლობათა შესრულების დროს.

კ. მუსელრიძე
ტექნიკოს-მექანიკოსი

გამოუქვეყნებელი წერილების

კვაღდაკვაღ

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები

სოფლკორი ზესტაფონის რაიონიდან გვწერდა, რომ სოფელ კლდეეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე კ. ძაბირაძე და ბუხჰალტერი გ. ჩინჩალაძე ითვისებდნენ საკოლმეურნეო თანხებს. წერილი შესამოწმებლად გაეგზავნა მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომს. როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ხუსკოვაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

კოლმეურნეობაში 25.578 მანეთის მითვისებისათვის კ. ძაბირაძისა და გ. ჩინჩალაძის პასუხისგებაში მისაცემად საქმე გადაეცა ზესტაფონის რაიონის პროკურატურას.

კონტროლი სუსტია, საზოგადოებრივი ქონება [illegible]

ხაშურის რაიონში კარგახანია ცნობილია, რომ სოფელ ტეზრის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გვარამაძე ახშობს კრიტიკას, იმ კოლმეურნეებს, რომლებიც მას ნაკლოვანებებზე მიუთითებენ, გარიცხვით ემუქრება, ზოგიერთს ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს.

კოლმეურნეობას ავარის ქარხნიდან მოტანილი შაქარი კოლმეურნეებისათვის უნდა მიეცა კილოგრამი 3 მანეთად და 80 კაპიკად. თავმჯდომარემ კი კილოგრამი 4 მანეთად გასცა და ზედმეტად აღებული 1.300-მდე მანეთი მითვისა. თავმჯდომარემ კოლმეურნეობის რამდენიმე სული პირუტყვი (წონით 3.182 კილოგრამი) კოლმეურნეთა ანგარიშში თვითნებურად ჩაბარა სახელმწიფოს, შემდეგ კოლმეურნეებს კილოგრამ ხორცში დაუკავა 3,5 კილოგრამი მარცვლეული, სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ხორცზე მიღებული ფული კოლმეურნეებს არ მისცა და სხვა საჭიროებისათვის გამოიყენა.

გ. გვარამაძემ შარშან მევენახეობის ხელმძღვანელობს, ჩამოართვა 0,11 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი და საკარმიდამო ნაკვეთად „აჩუქა“ კოლმეურნე ნესტორ აბრამაშვილს. აბრამაშვილმა კოლმეურნეობის სხვა ქონებაც მითვისა. ამ უკანონო მოქმედებაზე არაერთხელ მიუთითეს კოლმეურნეებმა თავმჯდომარეს, მაგრამ იგი გახაგრძობს საკოლმეურნეო მიწის გაჩუქებას, ვენახის ფართობი უკანონოდ მისცა აგრეთვე ნიკოლოზ ბირკაძეს.

კოლმეურნეობის საწყობის გამგე სერგო ხარატიშვილი ღვინოს, ყველს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქტებს კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ბუხჰალტრის სიტყვიერი მითითებით ყიდდა საწყობიდან. ამით საწყობის გამგე ს. ხარატიშვილი გათამამდა და ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების განიავებას. შარშან მან კოლმეურნეობის 40 ფუთამდე ჭაჭიდან არაყი გამოხადა და 7 ფუთამდე არაყი სახლში წაიღო. ეს დროზე აცნობეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მაგრამ მას ზომები არ მიუღია, კომბინაციებში თავის თანამონაწილეს არ აწყენინა.

მეორე ბრიგადის ნაკვეთიდან აღებულ სიმინდს სარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარე ქ. კიკნაძე, ბრიგადირ ე. ბირკაძესთან შეთანხმებით საწყობში გაუტარებლად ჰყიდდა სხვადასხვა პირებზე. ეს ბოროტმოქმედება შეამჩნია სარეკვიზიო კომისიის წევრმა ბ. ჩიტიაშვილმა და აცნობა კოლმეურნეობას, შემდეგ კი პარტიის რაიონულ კომიტეტსაც. გამოიყო კომისია, მაგრამ კომისიის გამოყოფამდე ბოროტმოქმედებმა საბუთების „გაფორმება“ მოასწრეს.

თავმჯდომარე ხშირად უხეშ ადმინისტრირებას მიმართავს. მარიამ აბრამაშვილი პატიოსნად მუშაობს კოლმეურნეობაში, ყოველწლიურად 200 შრომადღეს იმუშავებს. ერთ დღეს საპატიო მიზეზით სამუშაოზე დააგვიანდა. თავმჯდომარემ ამაზე კოლმეურნე დასაჯა, 7 დღეს იძულებით ამუშავა მეცხოველეობის ფერმაში ბოსლის გასუფთავებაზე. გ. გვარამაძემ შეურაცხყოფა მიაყენა მწყემს ე. მანოიანს, 63 წლის მოხუცს ვ. ხოლუაშვილს და მრავალ სხვას.

გ. გვარამაძეს მოეწონა კოლმეურნეობის რადიომიმღები, რომელიც ათას მანეთად იყიდეს, და შინ წაიღო. კოლმეურნეობისათვის შეძენილი 800 ცალი ყავარი პირადი საჭიროებისათვის მოიხმარა.

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია გამომუშავების ნორმები. შარშან იანვარში სასილოსე ჩხლის ჭრაში 10 დღეს იმუშავეს გ. ხოლუაშვილმა, ს. აბრამაშვილმა, ს. წველიძემ, ზ. ზაქაშვილმა, გ. კობალაძემ და სხვებმა. მის შემდეგ ერთი წელი გავიდა, ხოლო შრომადღეები დღესაც არ აქვთ დარიცხული.

სერიოზული დამახინჯებებია საკოლმეურნეო შენობების აგების საქმეშიც. კოლმეურნეობის კანტორას ისე აგებდნენ, რომ სათანადო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილი არ ჰქონდათ. შენობის აგების დამთავრებისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რატომღაც ინჟინერ ა. ლომიძეს შეადგენინა პროექტი და გასამრჯელოდ მისცა 800 მანეთი. საკვირველია, რომ რაისაბჭოს აღმასკომმა ეს მდგომარეობა ნორმალურად ცნო. ასევე პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შეუდგენლად აშენეს ბოსელი, რისთვისაც 33.110 მანეთი დახარჯეს.

უგეგმო მუშაობის შედეგად კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა საფინანსო დისციპლინა. მარტო 1950 წელს კოლმეურნეობაში საწარმოო საჭიროებაზე ზედმეტად დახარჯეს 26.149 მანეთი, ხოლო ბანკის გვერდის ავლით — 31 ათასი მანეთი. ასეთი მდგომარეობა შარშანაც გამეორდა. ყველაფერი ეს იციან რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ, დამნაშავეებს არ სჯიან.

ყველაფერი რიგზე არ არის სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობაშიც. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ტუსიაშვილს საზოგადოებრივი ნეურნეობის გაძღოლის უნარი არა აქვს. რაისაბჭოს აღმასკომისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკების წაყრუების შედეგად კოლმეურნეობაში დღემდე არის შტატების გაბერვის და ფულადი სახსრების ზედმეტად ხარჯვის შემთხვევები. მაგალითად, სოფელ [illegible] ჭოს აღმასკომმა ააგო ელექტროკოისკი, მაგრამ სათანადოდ მისი მოწყობა ვერ უზრუნველყო. კოისკი კოლმეურნეობას გადასცეს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა არც კი გაითვალისწინეს ელექტროკოისკიდან მიღებული შემოსავალი და თვითნებურად გაბერეს შტატი. ელექტროკოისკის გამგედ გამოჰყვეს ი. ბლიაძე და დაუნიშნეს თვეში 700 მანეთი, მონტიორ მ. ბლიაძეს — 300 მანეთი, ხოლო მოლარე-ინკასატორს ო. ტუსიაშვილს (ამავე სოფლის მაღაზიის გამყიდველს) — 300 მანეთი.

1950 წელს კოლმეურნეობაში მეწისქვილედ მუშაობდა ა. ტუსიაშვილი. დანაბადულისათვის მას ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იგი საწყობის გამგედ დანიშნა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ტუსიაშვილმა კოლმეურნეობის რამდენიმე ფუთი ხორბალი პირადი საჭიროებისათვის გაიტანა გასაყიდად. ეს კოლმეურნეებმა შეამჩნიეს. ტუსიაშვილი იძულებული გახდა უკანვე დაებრუნებინა ხორბალი, შემდეგ კი ბოროტების კვალის დასაფარავად კოლმეურნეობის მოანგარიშესთან ერთად სწრაფად გააფორმა საბუთები.

ოსიაურის კოლმეურნეობაში ჩადენილი ეს ბოროტმქმედებანი კარგად იციან რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებმა, მაგრამ განყოფილების გამგე ამხ. პ. კუბლაშვილი რატომღაც ურიგდება ამას.

სოფელ ჭალისუბნის კოლმეურნეობაში შრომადღეებს არასწორად ხარჯავდნენ. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი ი. ბირკაძე ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას. იგი ისე გათამამდა, რომ კოლმეურნეობაში თავისი თავი უფროს მოანგარიშედ გააფორმა, თვეში ორჯერ თუ გაისეირნებდა ჭალისუბანში და ამისათვის ყოველთვიურად 44 შრომადღეს უწერდნენ. ეს დროზე ამხილა გაზეთმა „კომუნისტმა“, მაგრამ რაიონში დღემდე დამნაშავეთა დასასჯელად საჭირო ზომები არ მიუღიათ.

ხაშურის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, სისტემატური კონტროლი დააწესონ საკოლმეურნეო წესდების უსასტიკესად დაცვისათვის, შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ საზოგადოებრივი ქონების მიმითვისებელთა წინააღმდეგ.

შ. ჯოჯუა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოწინავე კოლმეურნეობა

ყაზბეგი. (საკ. კორ.). სოფელ ცდოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. საბაური) გასულ წელს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ძროხის, ცხვრისა და ჯხენის სულადობის სახელმწიფო გეგმა. 107 პროცენტით გაანაღდა ძროხების წველადობის გეგმა, ხოლო მატყლის მიღებისა —109,4 პროცენტით.

ცდოელებმა პირნათლად წოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე — სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარეს ორნახევარი ტონა მატყლი და 13 ტონა რძე.

კოლმეურნეობაში წარმატებით აზამთრებენ პირუტყვს. ფერმებს საკმარისი რაოდენობით აქვთ საკვები როგორც ადგილზე, ისე ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე.

შარშან კოლმეურნეობაში ააგეს პირუტყვის ახალი სადგომი, გააგანიერეს სოფელში მისასვლელი გზა, რომელზეც ახლა თავისუფლად დადიან ავტომანქანები, სოფელ გელეთში გაიყვანეს ელექტროგადამცემი ხაზი.

„პეპო“

რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმა

რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა ქართველი ხალხისათვის კარგად ნაცნობი კომედია — გ. სუნდუკიანის „პეპო“.

მეტად მდიდარია ძმობისა და მეგობრობის ფაქტებით სომეხი და ქართველი ხალხის რევოლუციამდელი ხანის ისტორია. საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა, მათი მოწინავე ადამიანები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან. ქართველი და სომეხი ხალხი ორივე თანაბრად განიცდიდა ცარიზმის სოციალური და კოლონიური ჩაგვრის სიმძიმეს და შეერთებული ძალით იბრძოდნენ თავიანთი კლასობრივი და ეროვნული ინტერესების დასაცავად.

სომეხი და ქართველი ხალხის ურთიერთობის ხელშეწყობის კეთილშობილურ საქმეში შესანიშნავი იყო გაბრიელ სუნდუკიანის მოღვაწეობა. გამოჩენილი სომეხი მწერალი ცნობილი იყო როგორც თავისი ხალხის უდიდესი პატრიოტი და ამავე დროს მთელი თავისი შემოქმედებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გულწრფელად ემსახურებოდა ხალხთა მეგობრობის იდეას. საქართველოში დაბადებულმა და აღზრდილმა, ქართულ კულტურას, ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას შეთვისებულმა გაბრიელ სუნდუკიანმა მრავალი შესაძლებლობა გამონახა შუბლიური სომხური თეატრის დასაკავშირებლად ქართულ თეატრთან და ამ თეატრებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობის განსამტკიცებლად.

გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“ და სხვა ნაწარმოებნი წარსულში თანაბარი პოპულარობით სარგებლობდნენ როგორც სომხურ, ისე ქართულ სცენაზე. ამ შესანიშნავი კომედიების ქართულ სცენაზე წარმატების მიზეზი არა მარტო მხატვრული ღირსება იყო, არამედ ისიც, რომ ისინი სავსებით უპასუხებდნენ რევოლუციამდელი ქართული თეატრის შემოქმედებითს მისწრაფებას — სცენიურ რეალიზმსა და ხალხურობას. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო კომედია „პეპო“.

ქართველმა მაყურებელმა „პეპო“ პირველად ნახა 1874 წელს ქუთაისში. კომედია ქართულად თვით ავტორმა თარგმნა პოეტ რ. ერისთავის, ი. ბაქრაძისა და ტერ-დავით იარალიანის დახმარებით. თბილისის ქართულ სცენაზე პეპო პირველად იქნა წარმოდგენილი 1875 წელს. პეპოს როლს ქართულად ასრულებდა თბილისის სომხური თეატრის ხელმძღვანელი გევორქ ჩიმიშკიანი. პიესის მომზადებაში თვით ავტორმა მიიღო მონაწილეობა.

თბილისში „პეპოს“ ამ წარმოდგენასთან დაკავშირებით გაზეთ „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა მოათავსა ვრცელი წერილი, რომელშიც „პეპოს“ დიდი ქებით იხსენიებდა. „თავიდანვე ვიტყვით, — წერდა სერგეი მესხი, — რომ ამისთანა აზრიანი, სცენის დამაკმაყოფილებელი კომედია ჩვენს საზოგადოებას ქართულ ენაზე და სცენაზე ჯერ არ უნახავს... „პეპოში“ გამოხატული და განხორციელებულია ის ეკონომიური უთანხმობა, რომელიც მთელი ქვეყნისათვის საგრძნობელი და დამაფიქრებელი შეიქნა“...

„პეპო“ დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერტუარში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო დრამატული ნაწარმოები. ის მუდამ იდგმებოდა თბილისს და ქუთაისის თეატრებში, პროვინციის ქალაქების სცენისმოყვარეთა წრეებში.

რევოლუციამდელი ქართული თეატრის თითქმის ყველა ცნობილ მსახიობს მიუღია მონაწილეობა „პეპოში“. პეპოს როლი ქართულ თეატრში შეუსრულებიათ ზ. მაჩაბელს, ა. ცაგარელს, ა. ყაზბეგს, დ. აწყურელს, ვ. გამყრელიძეს, ი. ივანიძეს, ს. სვიმონიძეს, ა. ყალაბეგიშვილს და სხვ. უცვლელად თამაშობდნენ ვ. აბაშიძე ზიმზიმოვისა და კ. ყიფიანი — გიქოს როლს.

1901 წელს ქართველმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა სომხური სცენაზე „პეპოს“ პირველი წარმოდგენის 30 წლისთავი. საზეიმო საღამოები არსებითად თვით კომედიის ავტორის გაბრიელ სუნდუკიანის იუბილედ იქცა. ეს საღამოები ნათლად გამოხატავდა სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას.

გაბრიელ სუნდუკიანის ძველმა მეგობარმა დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა სუნდუკიანისადმი მიძღვნილ ლექსში გამოხატა ხალხთა ამ მეგობრობის გულწრფელი აზრები. პოეტი წერდა:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!“

საიუბილეო დღეების შემდეგ გამოქვეყნებულ გ. სუნდუკიანის სამადლობელ წერილში სომეხი და ქართველი ხალხების ასეთივე მეგობრობის გრძნობა იყო გამოსახული: „...მე ვშრომობდი ჩემი ორი სამშობლოს — თანაბრად ძვირფასი ერის, ქართველთა და სომეხთა სცენისათვის“...

ამრიგად, რუსთაველის თეატრის მიერ ქართულ სცენაზე „პეპოს“ დადგმას მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა როდი აქვს, ეს არის ღირსშესანიშნავი ფაქტი სომეხ და ქართველ ხალხთა ძმური ურთიერთობის ისტორიაში.

სპექტაკლი „პეპო“ რუსთაველის თეატრის თვალსაჩინო მხატვრული მიღწევაა. დადგმისადმი განსაკუთრებული ინტერესი იმითაც გამოიხატება, რომ პირველ წარმოდგენებში თითქმის ყველა როლში თეატრის ახალგაზრდა ძალები გამოდიან. „ძველმა“ თაობამ— სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ა. ხორავამ (პეპო) და ა. ვასაძემ (ზიმზიმოვი) ამ როლების შესრულების პირველობა ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობებს დ. აბაშიძესა და ე. მანჯგალაძეს დაუთმეს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველის თეატრი არა მარტო „პეპოში“, არამედ უკანასკნელი დროის მთელ რიგ სხვა ახალ დადგმებში: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, „ყაჩაღები“ და სხვ. წამყვან როლებზე გაბედულად აწინაურებს ახალგაზრდებს, რომლებიც უდავოდ კარგ ოსტატობას გვიჩვენებენ.

პეპოს სახე დ. აბაშიძის შესრულებით შინაგანი სითბოთია გამსჭვალული. მსახიობი თავდაჭერილია, არა აქვს ის ყალბი პათეტიკურობა და ტრაფარეტული პოზიორობა, რაც ძველათ ამ როლის ზოგიერთ შემსრულებელს ახასიათებდა. პეპო დ. აბაშიძის შესრულებით ჩვეულებრივი, უბრალო ხალხის შვილია და ხალხის ყველა კეთილშობილური გრძნობა ახასიათებს. მას კარგად ესმის სოციალური უთანასწორობის სიმწარე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუგნია მჩაგვრელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საჭიროება; მას კიდევ სჯერა, რომ მეფის სასამართლო დასჯის ბოროტ ზიმზიმოვს. მაგრამ თუ პეპოს უკანასკნელი იმედი — სასამართლოს განაჩენი ჩაიშლება, პეპოს მრისხანება სოციალური ბრძოლის გზით წარიმართება.

ზიმზიმოვი ე. მანჯგალაძის შესრულებით ნიჭიერად შექმნილი სახეა. მსახიობს მხატვრული სიზუსტით და ზომიერებით დაუმუშავებია როლის ყოველი დეტალი. ეს არის დასრულებული სახე კაპიტალისტისა, რომელიც არავითარ საშუალებას არ მოერიდება თავისი მიზნის მისაღწევად, ის თვითკმაყოფილი, დამშვიდებული, დარწმუნებული, რომ მას ხურგს უმაგრებს ცარიზმის არსებული წესწყობილება თავისი პოლიციით და მოხელეებით. ერთადერთი, რისაც ზიმზიმოვს ეშინია ის არის, რომ თუ პეპოს ვალზე უარის თქმის ამბავი გამომეღავნდა, მას ნდობა და კრედიტი დაეკარგება მის მსგავს კაპიტალისტებთან. ზიმზიმოვი არ ინანიებს თავის დანაშაულს პეპოს წინაშე. მაყურებელი უკანასკნელ მოქმედებაში უსიტყვოდ მჯდომ ზიმზიმოვში და მის ბოროტ გამოხედვაში გრძნობს, რომ ის მომავალშიც შეეცდება განაგრძოს თავისი ბინძური საქმიანობა, შეეცდება ყოველი ღონე იხმაროს პეპოს დასაჩაგრავად.

ორი მთავარი პერსონაჟის ამ გზით გამოსახვაში ვხედავთ კომედიის რეჟისორულ გაგებას, სახელდობრ: პეპოსა და ზიმზიმოვის კონფლიქტი უკანასკნელის მიერ ვალზე უარის თქმის გამო, — დასაწყისია სოციალური ბრძოლისა; მაგრამ ეს ბრძოლა არ მთავრდება, იგი უფრო გამძაფრდება. ამ აზრს ადასტურებს მასობრივი სცენა კომედიის ბოლოს, როდესაც პეპოს მეზობლები — ღარიბი ხალხი უხმოდ აცილებენ დაპატიმრებულ პეპოს და შემდეგ კაკულისთან ერთად მრისხანედ გარს ერტყმიან სცენაზე დარჩენილ ზიმზიმოვს.

ნიჭიერად ასრულებს პეპოს ოჯახის მეგობრის მოხუც გიქოს როლს ახალგაზრდა მსახიობი ნ. ჩხეიძე. სახის ძთელი გარეგანი მოხაზულობა ნათლად ახასიათებს ამ კეთილი მოხუცის შინაგან გულისწადილს. მსახიობი შესანიშნავად გადმოგვცემს გიქოს ყოველ განცდას. ნ. ჩხეიძის გიქო დასრულებული, მართალი სახეა უბრალო, კეთილშობილი ადამიანისა. დრამატული სიძლიერით ასრულებს მსახიობი ხელწერილის დაკარგვის ამბის მოყოლის სცენას. ახალგაზრდა მსახიობი ნ. მგალობლიშვილი პეპოს დის კეკეს როლში მორალურად სპეტაკი ქალიშვილის ამაღელვებელ დრამატულ სახეს ქმნის.

პეპოს დედის შუშანას როლში გამოდის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. დავითაშვილი. მსახიობი როლს რეალისტური სასცენო ოსტატობის საუკეთესო ტრადიციით ასრულებს.

სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა ზიმზიმოვის ცოლის ეფემიას როლს ასრულებს. სახე ცოცხლად არის გამოკვეთილი და წარმოგვიდგენს ცბიერ და მოხერხებულ მეშჩახური ხასიათის ადამიანს. დრამატული როლების ნიჭიერად შემსრულებელმა მსახიობმა მ. ჩახავამ ამ როლში ნათლად დაგვანახვა, რომ არანაკლები ოსტატობით შეუძლია სახასიათო როლების შესრულება.

კაკულის კოლორიტულ სახეს ქმნის მსახიობი ვ. კინწურაშვილი. ის წარმატებით გადმოგვცემს პეპოსადმი გულითად მეგობრულ გრძნობებს.

დასრულებულად აქვს მოხაზული მსახიობ ბ. კობახიძეს დუქნის შეგირდის გიგოლის როლი.

ტიპიურია მსახური იმერელის როლში მსახიობი კ. მახარაძე.

ამრიგად, სუნდუკიანის რეალისტურმა, მართალმა ნაწარმოებმა რუსთაველის სახელობის თეატრში შესანიშნავი შემსრულებლები ჰპოვა.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: მსახიობები როლებს წმინდა ქართული ლიტერატურული გამოთქმით ასრულებენ და ერიდებიან ქალაქურ-კინტოურ გამოთქმას. ეს სავსებით სწორია. გაბრიელ სუნდუკიანის ნაწარმოები ლიტერატურული ქართულის

რუმინული გაზეთები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

ბუქარესტი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს ბუქარესტის ყველა გაზეთი დაწვრილებით უყვებს კომენტარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

სტატიაში „კომუნიზმის მშენებელთა დიდი გამარჯვებანი“ გაზეთი „სკანტეია“ აღნიშნავს, რომ, მაშინ როცა იმპერიალისტი მტაცებლები ომავენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს კორეაში, ვიეტნამში, ეგვიპტესა და ტუნისში, ხოლო პარიზში გაფთრებით ემზადებიან ყბადაღებული „ევროპის არმიის“ შექმნისათვის, საბჭოთა ხალხი, თავისი სამშვიდობო პოლიტიკის ერთგული, რწმენით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა მთელ მსოფლიოში გაისმა როგორც მშვიდობის ძლიერი მამართვა, რაც მალიონობით უბრალო ადამიანს გულში უნერგავს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას.

გაზეთი „უნიგერსული“ სტატიაში სათაურით „კომუნიზმი შენდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომით“ წერს:

რა თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ ჩვენი დროის ფაქტები და ამბები, გარდუვალი და ერთადერთი სწორი დასკვნა ის არის, რომ მომავალი სოციალიზმის სამყაროს ეკუთვნის. საბჭოთა კავშირის თანდათანობით გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმში, მისი უდიდესი მატერიალური და მორალური ძლიერება უზრუნველყოფენ მშვიდობის ძალების გამარჯვებას ომის ძალებზე, იძლევიან იმის გარანტიას, რომ სრული წარმატებით დაგვირგვინდება რუმინეთის, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების, მშრომელთა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოციალიზმის აშენება.

ეამოხმაურება საფრანგეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაზე

პარიზი, 31 იანვარი. (საკდესი). დემოკრატიული პრესა კვლავ აქცევს ყურადღებას ცნობებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების შესახებ.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ მოათავსა ვრცელი სტატია თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ჟან კუენისა, რომელსაც მოჰყავს შინაარსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობისა 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის ეს შესანიშნავი წარმატებანი, წერს ავტორი, მოწმობენ საბჭოთა წყობილების უპირატესობას კაპიტალისტური რეჟიმის წინაშე. ეს წარმატებანი მოპოვებულია სოციალისტურ სახელმწიფოში მშვიდობის სტალინური პოლიტიკის განხორციელების მეოხებით. ავტორს მოჰყავს ცნობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გეგმის შესრულების შესახებ.

ცნობას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების შესახებ აქვეყნებს აგრეთვე გაზეთი „ლიბერასიონი“.

ოვო გროზევოლის სიტყვა

ბერლინი, 31 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა ბერლინში კარლ ლიბნეხტის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე. თავის სიტყვაში გროტეოლმა დიდი ყურადღება მიაქცია გერმანელი ხალხის ბრძოლას გერმანიის ერთიანობ-ს მშვიდობიანი აღდგენისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. მან წამოაყენა ლოზუნგები: „გათიშვის წინააღმდეგ, გერმანიის ერთიანობისათვის. სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, საარჩევნო კანონისათვის. საერთო სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, საზავო ხელშეკრულებისათვის“.

გროტეოლმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა ის საშინელი საფრთხე, რომელსაც ქმნის ბონის მთავრობისა და დასავლეთ სახელმწიფოებს შორის „საერთო ხელშეკრულება“, რასაც ადენაუერი თავს ახვევს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას. გერმანელ ხალხს დასავლეთ გერმანიაში, თქვა გროტეოლმა, ამერიკელ იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტების როლს აკისრებენ. ერისათვის ასეთი საშიში პერსპექტივის არსებობის დროს გერმანელმა ხალხმა მთელი ძალღონე უნდა მოახმაროს იმას, რომ მიაღწიოს გერმანიის მშვიდობიან და დემოკრატიულ აღდგენას.

ილაპარაკა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მიერ მოწონებული სრულიად გერმანიის საარჩევნო კანონის პროექტის შესახებ, გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა კომისიაში ითანამშრომლოს მთელ გერმანიაში არჩევნების მოწყობის პირობათა გამოკვლევის მიზნით. „შუმანის გეგმას, — თქვა გროტეოლმა, — ჩვენ ეუპირდაპირებთ ჩვენს დიად სამშვიდობო გეგმას — ხუთწლიან გეგმას“. თავისი სიტყვის დასასრულს გროტეოლმა შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ამოცანებს, რომლებსაც მათ ხუთწლიანი გეგმა უსახავს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ამოცანების განხორციელებისათვის მუშებისა და ინტელიგენციის თანამშრომლობას.

საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლა მშრომელი მასების ინტერესებისათვის

პარიზი, 31 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სამპარლამენტო ჯგუფის სახელით კომუნისტმა დეპუტატებმა ჟაკ დიუკლო, ჟანდეკ რომენ, ფრანსუა ბიიუმ, რაიმონ გიუიომ, ჟანეტა ვერმერშმა, არტურ მიუსმომ და ჟან კანმა საფრანგეთის ეროვნული კრების განსახილველად შეიტანეს შემდეგი წინადადება:

„ეროვნული კრება მოუწოდებს მთავრობას:
1. გაუქმოს დეკრეტები და დადგენილებანი, რომლებითაც 1951 წლის ოქტომბრიდან გადიდებულია ელექტროენერგიის, გაზის, რკინიგზით საქონლის გადაზიდვის, სამგზავრო ბილეთების, ფოსტა-ტელეგრაფით სარგებლობის ტარიფები, აგრეთვე საწვავის, გაზოლინის, სასუქებისა და თამბაქოს ფასები.

2. მიიღოს ზომები სხვადასხვა საქონლის ფასების აღდგენისთვის 1951 წლის ოქტომბრის ფასების დონის თანასწორად“.

ჯუნისის ამბები

პარიზი, 30 იანვარი. (საკდესი). დილის გაზეთების ცნობა იმას მოწმობს, რომ ტუნისში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. მიუხედავად „შედარებითი სიმშვიდისა“ და „სიწყნარისა“, რის შესახებაც ფართოდ იუწყება რეაქციული პრესა, საფრანგეთის მთავრობა კვლავ გზავნის ტუნისში ჯარის ახალ მაშველ ნაწილებს.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, მოულოდნელ, რომ საფრანგეთის ჯარები ბონის კონცხის რაიონში განახორციელებენ დამსჯელ ოპერაციებს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ რაიონში შესული, რომელსაც ახლა „სოპერაციო ზონა“ ეწოდება, ნებადართულია მხოლოდ ამათთვის, ვისაც საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ მიცემული სპეციალური საშვები აქვს.

რეპრესიებისა და ტერორის პოლიტიკა, რომელსაც ფრანგი კოლონიზატორები ახორციელებენ, ფიწვევს ფრანგი ხალხის ღრმა აღშფოთებასა და პროტესტს. „ლუმანიტე“ აქვეყნებს იმ ახალი ორგანიზაციების სიას, რომლებიც მთავრობისაგან მოითხოვენ შეწყვიტოს სისხლიანი რეპრესიები და მისცეს ტუნისს დამოუკიდებლობა. პორ-სენ-ლუი დიუ-რონის (ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტი) ლოკერები უარს აცხადებენ დატვირთონ სამარი მასალები, რომლებიც განკუთვნილია ჩრდილოეთ აფრიკაში გასაგზავნად. ქარხანა „რენოს“ 400 მუშამ გუშინ მუშაობა შეწყვიტა ტუნისში სისხლიანი ტერორის განხორციელებისა და იქ ახალი ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

გაზეთ „კომბას“ ცნობით, ამჟამად ტუნისში იმყოფება ევრეთწოდებული „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების“ 8.000 პარაშუტისტი და ჯარისკაცი.

ამერიკის სენატში

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). 29 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატების სენატმა (რომელშიც, როგორც ცნობილია, ირიცხება 96 სენატორი) მხოლოდ 6 სენატორის თანადასწრებით მოიწონა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ოქმი ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შემადგენლობაში საბერძნეთისა და თურქეთის მიღებაზე (რატიფიკაციის შესახებ რეზოლუციის მიღებისათვის საჭიროა, რომ იგი მიღებულ იქნას კენჭისყრის დროს დამსწრე სენატორთა ხმების ორი მესამედით).

დაქსაქსულობა ინდოეთის მთავრობის მომხრე უმრავლესობის ბანაკში

რანგი, 31 იანვარი. (საკდესი). გუშინ დეპუტატთა პალატაში სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების სატარიფო ნუსხის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის გამო განახლებული კამათის მსვლელობაში დე გასპერის მთავრობამ სამჯერ განიცადა დამარცხება ცალკეულ შესწორებთა კენჭისყრაში.

პარლიმენტ დე გასპერის დაბრუნების შემდეგ მთავრობა შეეცადა, რომ პალატას უკანვე წაეღო მთავრობის ნების წინააღმდეგ 25 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების 7 პროცენტით გადიდების შესახებ, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდ გაუთვალისწინებელი 11,5 მილიარდი ლირის დამატებათ ასიგნების აუცილებლობასთან.

ამ მიზნით პალატის ქრისტიან დემოკრატთა ჯგუფის ლიდერმა ბეტიოლმა შეიტანა კანონპროექტის შესწორება, რომელიც არარად ხდის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ პირადად დე გასპერიმ და პარტიის ხელმძღვანელობამ გულმოდგინედ დაამუშავეს ქრისტიანი დემოკრატი დეპუტატები, მთავრობის მანევრი ჩაშალა: ფარული კენჭისყრის შედეგად ბეტიოლის შესწორება უარყოფილ იქნა 252 ხმით 246 ხმის წინააღმდეგ. ეს შედეგი ცხადყოფს, რომ 30-მდე ქრისტიანმა დემოკრატმა მემარცხენე ოპოზიციასთან და სხვა ჯგუფების ბევრ დეპუტატთან ერთად ხმა მისცა მთავრობის წინააღმდეგ.

მთავრობის შესწორების უარყოფის შემდეგ ბევრმა ქრისტიანმა დემოკრატმა დეპუტატმა პირველად მისცა აშკარად ხმა მთავრობის წინააღმდეგ იმავე კანონის ტექსტის ორ წვრილმან დამატებითს შესწორებასთან დაკავშირებით. ხმის მიცემა წარმოებდა აშკარად ხელის აწევით, და ორივე შემთხვევაში მთავრობამ დამარცხება განიცადა.

პალატის სხდომის დამთავრების შემდეგ დე გასპერიმ მოაწერა მინისტრებისა და სხვა თანამდებობის პირთა ნაბოლოსი თანამშრომლების თანმხრივ. თანამრრის შემდეგ გამოცხადებულ იქნა, რომ მთავრობა „აპირებს სავსებით გამოარკვიოს შექმნილი მდგომარეობა როგორც საფინანსო, ისე პოლიტიკურ დარგში“.

მოელიან, რომ მთავრობა პარლამენტის წინაშე დააყენებს ნდობის საკითხს. მემარცხენე ოპოზიცია მოითხოვს დე გასპერის კაბინეტის დაუყოვნებლივ გადადგომას.

ეგვიპტე

ალექსანდრია, 31 იანვარი. (საკდესი). ალექსანდრიაში ეგვიპტელ ინჟინერ-ტექნიკოსთა ასოციაციის ინიციატივით ინჟინერ-ტექნიკოსთა ასოციაციებმა ეგვიპტეში ინჟინერ-ტექნიკოსთა ასოციაციებისა და ფედერ